

*ქართულ-პოლონური ურთიერთობები
XIX-XX სს. (ისტორიული და
სოციო-კულტურული ასპექტები)*



კონფერენციის პროგრამა
და მოხსენებათა ანოტაციები

ბათუმი - 2024

2024 წლის 15 ნოემბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**ქართულ-პოლონური ურთიერთობები XIX-XX სს. (ისტორიული და სოციო-კულტურული ასპექტები)**“.



კონფერენცია ტარდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის – პოლონელების დეპორტაცია საქართველოში და პოლონურ-ქართული გეოპოლიტიკური თანამშრომლობა (1830-1921) (FR-22-9832) – ფარგლებში, ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ასოც. პროფ. ირაკლი ბარამიძე (თავმჯდომარე)

პროფ. კახაბერ სურგულაძე

ასოც. პროფ. რევაზ დიასამიძე

ასოც. პროფ. ხათუნა დიასამიძე

ისტ. დოქტ. გუგული კუკულაძე

რეგლამენტი:

მომხსენებელს – 10-12 წუთი

კამათში გამომსვლელს – 3-5 წუთი

მისამართი:

ბსუ, I კორპუსი, II სართული, №44-ე აუდიტორია –
საკონფერენციო დარბაზი

დასაწყისი: 14:00 საათი

15.11.2024, ბსუ, 44-ე აუდიტორია

14:00 საათი

კონფერენციის გახსნა – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი,
ასოც. პროფ. თეონა ბერიძე

მისალმება – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის

დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

პროფ. ჯემალ კარალიძე

– კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის

თავმჯდომარე, ასოც. პროფ. ირაკლი ბარამიძე

მოხსენებები:

1. **მალხაზ მაცაბერიძე** (თბილისი) –

საქართველოსა და პოლონეთის 1918-1921 წლების ისტორიის შედარებითი ანალიზი ქართულ ემიგრანტულ პრესაში

2. **ანჯეი ფურიერი** (შჩეცინი, პოლონეთი) –

პოლონელები ბათუმის ისტორიაში 1924 წლამდე

3. **კახაბერ სურგულაძე** (ბათუმი) –

ჟურნალი „ცისკარი“ პუსტოვოიტოვას შესახებ

4. **ნარგიზა კანკია** (თბილისი) –

კულტურა ტელევიზიაში; ქვეყნებს შორის ურთიერთობის საშუალება

5. **მერაბ მეგრელიშვილი** (ბათუმი) –

„პოლონური სახლი“ ბათუმში

6. *მარიამ მარჯანიშვილი (ქუთაისი)* –
პოლონელები ქართული კულტურის სამსახურში
7. *სულხან ალექსაია, გუგული კუკულაძე (ბათუმი)* –
„რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ დაარსების საკითხი
და ქართულ-პოლონური ეკონომიკური ინტერესები XIX
საუკუნის 20-30-იან წლებში
8. *ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი)* –
გრიგოლ ვოლსკი, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე
9. *მაკა დოლიძე (თბილისი)* –
ივან სლივიცკი – გაზეთ „კავკაზის“ („Кавказ“) რედაქტორი
და პუბლიცისტი
10. *ირინა ვარშლომიძე, ნინო ძნელაძე,
ციური ქათამაძე (ბათუმი)* –
პოლონური მონეტების მიმოქცევა აჭარაში
11. *თამარ ორჯონიკიძე (თბილისი)* –
პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XX
საუკუნის დასაწყისის გერმანიაში და ქართული საზოგადო-
ებრივი აზრი

წიგნის პრეზენტაცია:



ქეთევან მანია (თბილისი) –

პოლონური იდენტობა ქართულ ბეჭდურ მედიაში (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 40-იანი წლებამდე),
თბილისი, 2023

მომხსენებლები და მოხსენებათა ანოტაციები

მალხაზ მაცაბერიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

საქართველოსა და პოლონეთის 1918-1921 წლების ისტორიის შედარებითი ანალიზი ქართულ ემიგრანტულ პრესაში

სტატიაში გაანალიზებულია 1920-1930-იანი წლების ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რომელთა ავტორებიც პარალელს ავლებენ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის ისტორიას შორის. ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იოზეფ პილსუდსკის გარდაცვალებასთან (1935 წ.) დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

პუბლიკაციების ავტორთა აზრით, საქართველოსა და პოლონეთს შორის ბევრი რამ იყო საერთო: ორივე ქვეყანა ერთი და იმავე მტრის ხელში იყო მოქცეული, ორივე ქვეყანამ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოიპოვა დამოუკიდებლობა. თუმცა, პოლონეთისგან განსხვავებით, საქართველომ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამიტომ, ავტორთა აზრით, პოლონეთის გამოცდილების შესწავლას საქართველოსთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც დამოუკიდებლობა ხელახლა იყო მოსაპოვებელი. პოლონეთი მიიჩნეოდა ნიმუშად იმისა,

თუ როგორ უნდა იბრძოლო ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის.

არასოციალისტი ავტორები საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვის მთავარი მიზეზად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მას არ ჰყავდა პილსუდსკის მსგავსი ლიდერი. იოზეფ პილსუდსკის და ნოე ჟორდანიას შედარების დროს აღნიშნავენ, რომ: ა/ პილსუდსკისათვის სოციალიზმი ერის განთავისუფლების საშუალება იყო და მან სოციალისტური ძალები პოლონეთში ააცილა ეროვნულ ნიჰილიზმს; ბ/ პილსუდსკიმ კლასობრივი მიზნები ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებარა; გ/ პილსუდსკისაგან განსხვავებით ჟორდანიამ სათანადოდ ვერ შეაფასა სამხედრო დარგის მნიშვნელობა; დ/ საქართველო არ მოემზადა განმეორებითი ომისათვის. ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ყოფილი დამპყრობელი კვლავ ცდილობს განთავისუფლებული ქვეყნის ხელახლა დაპყრობას. საჭირო ხდება ბრძოლა არა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, არამედ მის დასაცავად. საქართველო ვერ მოემზადა ამ ომისათვის და დაკარგა დამოუკიდებლობა.

1918-1921 წლების საქართველოსა და პოლონეთის ისტორიის შედარებითი შესწავლისათვის დღეს გაცილებით მეტი შესაძლებლობები არსებობს, ვიდრე ეს 1930-იან წლებში ემიგრანტ ავტორებს გააჩნდათ და ამ მიმართულებით კვლევა აქტუალურ სამეცნიერო ამოცანას წარმოადგენს.

პოლონელები ბათუმის ისტორიაში 1924 წლამდე

ბათუმი არის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქალაქი, მაგრამ რეალური მნიშვნელობა მან მე-19 საუკუნის ბოლოს შეიძინა. ის აშენდა 1878 წლის შემდეგ, როდესაც აჭარის ეს ნაწილი თურქებს წაართვეს. მას შემდეგ ქალაქსა და მის პორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ქალაქებს შორის. მოცემული სტატია არის მცდელობა წარმოაჩინოს პოლონელების ყოფნა ბათუმში, მათი კავშირი ქალაქის და მისი პორტის განვითარებასთან მე-19 საუკუნის ბოლოდან 1924 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში ათასზე მეტი პოლონელი ბათუმის მუდმივი მაცხოვრებლები იყო.

ბათუმის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის უახლეს ისტორიაში სცილდება ეკონომიკის სფეროს და შეხებაშია დიდ გლობალურ პოლიტიკასთან. ქართული სახელმწიფოებრიობისადმი არსებული დიდი საფრთხის პერიოდში, სწორედ ბათუმის გავლით გადაწყდა საქართველოს ევაკუირებული ხელისუფლების მიგრაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც პოლონელები სამშობლოში ბათუმის პორტში მყოფ გემებზე ჩასხდნენ. მანამდე კი მათ დიდი როლი ითამაშეს ბათუმის მუნიციპალიტეტის და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ქალაქის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის გზით.

სტატიაში საუბარია ბათუმში არსებული პოლონური კოლონიის ორ ყველაზე მნიშვნელოვან წევრზე: მხატვარ ზიგმუნდ ვალისცევსკიზე და ინჟინერ ჟოზეფ პანაისევიცზე. პირველმა დატოვა არაერთი ტილო შთაგონებული ბათუმში ცხოვრებით, მეორემ კი შექმნა „პოლონური სახლი“ 1909 წელს. სტატიაში საუ-

ბარია სხვადასხვა დარგის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელზე, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ბათუმის განვითარებაში წარსულში. პოლონელებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაში, რომლის დამფუძნებელი იყო სტეფანე ზუბალაშვილი.

კახაბერ სურგულაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი*

ჟურნალი „ცისკარი“ პუსტოვოიტოვას შესახებ

„იანვრის აჯანყების“ და პოლონელების გმირული ბრძოლის თემატიკის ამსახველი სხვადასხვა პუბლიკაციები გაჩნდა XIX ს-ის 60-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში. ერთ-ერთი მათგანი იყო ლიტერატურულ ჟურნალი „ცისკარი“. ჟურნალში არ გვხვდება „საქართველოს მოამბის“ მსგავსად პოლონეთში კორესპოდენტის გაგზავნის და ადგილზე ვითარების შესწავლის ფაქტი. მასში არ არის აჯანყების მიზეზ-გარემოებებში და სხვა საკითხებში მკითხველის გარკვევის ცდა. ვინაიდან „პოლონური თემა“ საზოგადოებაში აქტუალური საკითხი იყო, „ცისკარ“-ს არ შეეძლო განზე მდგარიყო მოთხოვნად თემაზე, ამიტომაც რედკოლეგია შეეცადა მკითხველის ინტერესის დაკმაყოფილებას. ვინაიდან 1863 წლის მარტის ევროპულ პრესაში პოპულარულ თემად ითვლებოდა ქალი-რევოლუციონერის საკითხი, „ცისკარმა“ იგი აიტაცა (№4, 1863) და მკითხველს მიაწოდეს პუბლიკაცია - „პოლშელი პატრიოტი-ქალი ჰენრიეტა პუსტოვოიტოვა“-ს შესახებ.

ვინაიდან „პოლონეთის თემა“ იმპერიის საშინაო საქმედ მიიჩნეოდა, ამიტომაც ჟურნალმა შეგნებულად საცენზურ კომიტეტთან კონფლიქტის გამო თავი შეიკავა აჯანყების თაობაზე საუბარზე და დაკმაყოფილდა ერთ-ერთ მონაწილის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

გვინდა განვმარტოთ, რომ რედკოლეგია წერილში ლაფსუსებს უშვებს. საქმე იმაშია, რომ ჰენრიეტა პუსტოვოიტოვას სახელის აჯანყების მონაწილე არ არსებობდა. რეალობაში პიროვნება, რომელზეც ჟურნალი საუბრობდა იყო - ანნა ჰენრიკა პუსტოვოიტოვა (1838-1881). ამ შემთხვევაში რედაქციის დადანაშაულება რთულია, რადგანაც პუსტოვოიტოვა რუსეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში სხვადასხვა სახელით იხსენიებოდა. იგი საკმაოდ ქარიზმატული პიროვნება გახლდათ. პუსტოვოიტოვას „ორლენელ ქალწულად“ მოხსენიება მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ჟურნალმა ეს არ გააკეთა. საფიქრებელია, რომ რედკოლეგიამ იმ მომენტში თავი შეიკავა მის იდეალიზაციაზე, რადგან „ამორძალის“ ფაქტი შესაძლოა საქართველოშიც გადამდები ყოფილიყო, რასაც საცენზურო კომიტეტი ჟურნალს სახიფათო პრეცედენტად ჩაუთვლიდა.

პუსტოვოიტოვას შესახებ „ცისკარი“-ს ინფორმაციის წყაროდ ასახელებს - „რუსული გაზეთებიდამ“, მაგრამ არ აკონკრეტებს. აქ შესაძლებელია სხვადასხვა წყაროს დასახელება. პირველად პუსტოვოიტოვას შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა ა. გერცენის „Колокол“-ში. ვინაიდან იგი რუსეთის იმპერიაში არალეგალურად და მცირე ტირაჟით ვრცელდებოდა, ამიტომაც გამოირიცხება. რეალურად გვესახება საცენზური კომიტეტის მხრიდან ვიზირებული კავკასიაში გამომავალი გაზ. „Кавказ“-ი, რომელსაც ჰქონდა სახელისუფლო გაზეთების ამონარიდებით მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა. ლანგევიჩზე საუბრისას „Кавказ“-ში (11.04.1863) განთავსებული იყო პუსტოვოიტოვას

შესახებ ინფორმაცია. „ცისკარი“-ს და „Kavkaz“-ში არსებული მასალის ურთიერთშედარებით ჩანს, რომ სწორედ უკანასკნელი იყო ის „რუსული გაზეთებიდან“, რომლიდანაც ჟურნალმა პუსტოვო-იტოვას ბიოგრაფიული და საბრძოლო გზის შესახებ ინფორმაცია.

ნარგიზა კანკია

*ჟურნალისტიკის დოქტორი (Phd) საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი*

კულტურა ტელევიზიაში - ქვეყნებს შორის ურთიერთობის საშუალება

საქართველოს ტელევიზიის განვითარების პირველ პერიოდში, ეთერს ძირითადად ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრები იკავებდა. ეს განსაკუთრებით ეხება კინოხელოვნებას, რომლის ფუნქციები ტელეეკრანზე კიდევ უფრო იზრდება...

საქართველოს ტელევიზორცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პოლონეთის კულტურას. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1959 წლის ოქტომბერში საქართველოს ტელევიზიაში გაიმართა „პოლონეთის კულტურის კვირეული“ ...

ქართულ ტელემუშყებლობაში მალე შეიქმნა კინოგადაცემათა ისეთი რუბრიკები, სადაც გვაცნობდნენ საზღვარგარეთის (ძირითადად სოციალისტური ქვეყნების) კინემატოგრაფს.

პოლონეთი იყო ერთ-ერთი ის ქვეყანა, სადაც პრესტიჟული პრიზებით დააჯილდოვეს ის ტელეფილმები, რომელთა შექმნა-

საც ბევრი პრობლემა ახლდა... მაგალითად, 1966 წელს „ქორწილმა“ (რეჟ. მ. კობახიძე), სხვა პრიზებს შორის, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში მოკლემეტრაჟიანი ფილმების III საერთაშორისო ფესტივალის დიპლომი დაიმსახურა.

1987 წელს, სხვა პრემიებს შორის, „ლაქასაც“ (რეჟ. ა. ცაბაძე) პოლონეთის ქალაქ კოშალინში, XIV საერთაშორისო კინოფესტივალზე (რომელსაც „ახალგაზრდობა და ფილმები“ ერქვა), გადაეცა პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის.

მე-20 ს-ის 60-იანი წლების ბოლოს, პირველად რუსეთის ცენტრალური ტელევიზიით გახდა შესაძლებელი ქართველ ტელემყურებელს ეხილა ორი პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი - „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ (სადაც ერთ-ერთი გმირი ქართველია) და „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. ორივე მათგანი მეორე მსოფლიო ომის თემაზეა გადაღებული და ისინი აშკარა პროპაგანდისტული ხასიათისაა, მაგრამ მათი პოპულარობა საქართველოში მაინც დიდი იყო და, აუდიტორიის მოთხოვნით, წლების შემდეგ, ორივე ფილმი ქართულ ენაზეც იხილა ტელემყურებელმა.

80-იანი წლების მეორე ნახევრამდე, ეთერი ძირითადად სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს ეთმობოდათ. მაგალითად, საქართველოს ტელევიზიის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით, სტუდიაში მოწვეული იყო პოლონელი მსახიობი - ბარბარა ბრილსკა...

ე. წ. „გარდაქმნის წლებიდან“ საქართველოს ტელევიზიაში ბევრი რამ შეიცვალა... განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინტერვიუმ ცნობილ პოლონელ რეჟისორთან ბ- ანჯეი ვაიდასთან, რომელმაც შეფასება მისცა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას... 2000 წელს კი (კინოგადაცემა „ფსიქოში“) ტელემყურებელი გაეცნო დიდი პოლონელი რეჟისორის- ქ. კიშლოვსკის „დეკალოგის“ სერიებსაც...

„პოლონური სახლი“ ბათუმში

საკვლევე თემის ასეთი სახით დასათაურება გამოიწვია 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გამოტანილმა საკითხმა, თვითმმართველობის მიერ საზოგადოება „პოლონური სახლისთვის“ ბათუმში კომაროვის და გიორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლის ასაშენებლად მიწის გამოყოფის შესახებ, (სულ 137, 32 კვ. საჟენი მიწა) აღნიშნული საკითხის განხილვას მოჰყვა დიდი პოლემიკა. თვითმმართველობის სხდომას უძღვებოდა ქალაქის თავი გ.დ. ჟურული. სხდომას ესწრებოდა 20 ხმოსანი: სიმულოვი, გრიგორიადი, სიმონოვი, შუტცი, დიმიტრიადი, ჩხაიძე, პანასევიჩი, საბაევი, კურტოევა, ელიავა, პუჩინიანი, პილოიანი, სახნოვსკი, სოგოროვი, კრასნიცკი, კრინიცი, ბერძენიშვილი, კანდელაკი, კვიცინსკი და ტროფიმოვი. თვითმმართველობის სხდომაზე არ გამოცხადდა 23 ხმოსანი ეს უკანასკნელი კი ყურადსაღებია იმიტომ, რომ სხდომის ოქმში ხმოსანთა არ გამოცხადების მიზეზების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, რითაც ხაზი ესმება ხმოსნების დამოკიდებულებას ბათუმში ქართველი და პოლონელი ბავშვებისთვის ერთიანი სკოლის გახსნის სურვილთან და მიზანთან დაკავშირებით. აღნიშნულ პრობლემას თვითმმართველობის სხდომაზე ხმოსნების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა. ხმოსნების თვითმმართველობის წევრების გამოსვლებში გამომჟღავნდა დამოკიდებულება ბათუმში მცხოვრები პოლონელების და მათი რელიგიის მიმართ. 1909 წლის 16 დეკემბერს ბათუმის თვითმმართ-

ველობის სხდომაზე გამოსულთა მოხსენებები ცალკე განხილვის საგანია. პოლონური სახლისთვის მიწის გამოყოფის საკითხი რამდენჯერმე გადაიდო. ჯერ იყო და აღნიშნულ მიწაზე სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობას აპირებდნენ, შემდეგ აღნიშნული საკითხი განსახილველად გადასცეს მიწათმოწყობის კომისიას. სკოლის გახსნას ითხოვდა რომაულ-კათოლიკური ეკლესია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბათუმში მოღვაწე პოლონელების დამოკიდებულებას განსაზღვრავდა არა მარტო მათი ეროვნება, არამედ მასთან ერთად კათოლიკური რელიგია. რუსული თვითმმართველობა სათანადოდ ვერ აფასებდა პოლონელების დამსახურებას ქალაქის აღმშენებლობის საქმეში. ქალაქის თვითმმართველობამ გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების შემდეგ მას სათანადო საფლავიც ვერ მიუჩინა. დღეს კი ძვირადღირებული სახლის მშენებლობას შეეწირა ქალაქის ცენტრში მდებარე გრიგოლ ვოლსკის და ილია ჭავჭავაძის ბათუმის საცხოვრისი.

1924 წელს ბათუმში მცხოვრები პოლონელი მოქალაქეები არჩევანის წინაშე დადგნენ, კერძოდ ისინი ალტერნატივის წინაშე დააყენეს თუ სად სურდათ ცხოვრება პოლონეთში თუ საქართველოში? სინამდვილეში ეს იყო ხელისუფლების მიერ დაფარული სახით გამოვლენილი იძულებითი ფორმა, რასაც მოჰყვა ბათუმში მცხოვრები პოლონელების გადასახლება. რუსული „არჩევანი“ - Оптация (от лат. optatio – желание, выбор; англ. choice of citizenship, optation) პოლონელ მოქალაქეებს აიძულებდა თხოვნით მიემართათ მოსკოვის საგარეო უწყებისთვის და ნებაყოფლობით საწყისებზე დაეტოვებინათ საქართველო... ასევე სტატიამი წარმოდგენილია აჭარაში მოღვაწე მოქალაქეების გროგოლ ვოლსკის, ნიკოლოზ საბაევის და მისი მეუღლის რილსკაიას, იოზეფ პანასევიჩის, ანსელ მღებრიშვილის და სხვათა ცხოვრებამოღვაწეობის ამსახველი ცალკეული ეპიზოდები.

პოლონელები ქართული კულტურის სამსახურში

საქართველოსა და ქართველებზე პირველი წერილობითი ცნობები გვხვდება საბერძნეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. IX საუკუნიდან. ქართველ ტომთა ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულებანი, მათ მიერ წარმოებული ომები აღწერილი აქვთ ბერძენ ავტორებს ჰომეროსს, ჰესიოდეს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტს, სტრაბონსა და სხვ.

ქართველი ხალხის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი თქმულებებმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად არგონავტთა ლაშქრობამ კოლხეთში, რომელიც ევრიპიდეს ტრაგედიაში - “მედეაშია“ ასახული.

მონღოლებთან და თურქ-სელჯუკებთან ბრძოლებში მონაწილე ქართველებზე, მათ გმირულ საქმეებზე ბევრი საინტერესო ცნობა ჩაიტანეს ევროპაში სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, მისიონერებმა, ვაჭრებმა და მოგზაურებმა.

ევროპელ მკვლევარებთან ერთად პოლონელმა ხალხმაც XIX საუკუნის მოღვაწეების ჩანაწერებიდან გაიცნო საქართველო, „ქვეყნის ეს შესანიშნავი მხარე“ და მისი კულტურა.

1833 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა იულიუმ ნოვაკცის ნაშრომი საქართველოზე: „საქართველო, მისი ბუნება, ლიტერატურა და მოკლე ისტორია“. აღსანიშნავია, ისიც რომ პოლონელი თადეუშ ლადა-ზაბლოცკი, რომელიც 1837 წლიდან საქართველოში კერძოდ, თბილისში ცხოვრობდა დაკავშირებული იყო ქართველ რომანტიკოს პოეტთან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, დებთან ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეებთან. მის მშობლიურ

ენაზე დაწერილი ნარკვევები “ქართული მწერლობის შესახებ“, შესაძლებლობას აძლევდა პოლონელ მკითხველს ახლოს გაცნობოდა პოეზიის ქვეყანას.

ასევე საინტერესო იყო ვოიცეხ პოტოცკის წიგნი „საქართველოზე და კავკასიური ფოლკლორის შთაგონებით დაწერილი მრავალი მოთხრობა.“ ქართველთა შესახებ ყურადღებას იპყრობდა ნიჭიერი პოლონელი პოეტის ვლადისლავ სტშელნიცკის წიგნი „ქართული პოეზია“.

პოლონელმა მწერალმა ლეონ იანიშევსკიმ (1810-1861) სიცოცხლის უკანასკნელი წლები თბილისში გაატარა და შთამბეჭდავი წიგნით დაგვიტოვა მოგონება საქართველოზე - „კავკასიაში მოგზაურობის დროინდელი სურათები და შთაბეჭდილებები“.

ქართული კულტურის თანამედროვე მიღწევების შესახებ დიდი პოპულარიზაცია განახორციელა ვარშავის უნივერსიტეტის მეცნიერმა იან ბრაუნმა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა ძველი ქართული ენის განხრით და 1955 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული ზმნის მრავალპირიანობა“. იან ბრაუნი პოლონეთში ქართული ენის პროპაგანდასთან ერთად მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა.

საერთოდ, პოლონელები თავიანთი უანგარო ღვაწლით, ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის კულტურის საგანძურის პროპაგანდას ევროპაში, რომელიც დღესაც გრძელდება.

სულხან აღესაია
ისტორიის დოქტორი, ბსუ ლექტორი

გუგული კვკულაძე
ისტორიის დოქტორი, ბსუ ლექტორი

**„რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ დაარსების საკითხი
და ქართულ-პოლონური ეკონომიკური ინტერესები
XIX საუკუნის 20-30-იან წლებში**

პირველად, ამ გასაიდუმლოებული პროექტის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1831 წელს, როდესაც „ტიფლისკი ვედემოსტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა დღემდე უცნობი ავტორის სტატია „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ შესახებ. ავტორი იუწყებოდა, რომ 1828 წელს პ. ზაველეისკიმ და ალ. გრიბოედოვმა დაწერეს პროექტი, რომლის თანახმად სამხრეთ კავკასიაში უნდა დაარსებულიყო პირველი ფაბრიკა-ქარხნები (შაქრის, მაუდის, ტყავისა და შუშის ტარის). განვითარებულიყო მევენახეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა; მოეყვანათ ბამბა, თამბაქო და ა.შ. ამისათვის საჭირო იყო ინფრასტრუქტურული პროექტებიც – გზების გაყვანა და სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვა. ამ პროექტისათვის მთავრობიდან ითხოვდნენ შავი ზღვის პირას (სამეგრელოსა და იმერეთში) 120 ათასი დესეტინა მიწას არენდით, შეღავათიანი ტარიფებით. კომპანიას უნდა ჰქონოდა სრული მონოპოლია თავისუფალ ნაოსნობაზე.

სამრეწველო საქონლის ევროპაში გასატანად რუსეთისაგან ითხოვდნენ ჩამოერთმიათ ბათუმი ოსმალებისთვის. ქალაქის უსაფრთხოებაზე კი უნდა ეზრუნა სპეციალურ რაზმებს.

სამუშაო ძალად ა. გრიბოედოვის აზრით, რასაც ი. პასკევიჩიც ეთანხმებოდა, უნდა გამოეყენებინათ საქართველოში გად-

მოსახლეობული სომხები და რუსი გლეხობა, რომლებიც განთავისუფლდებოდნენ ბატონყმობისაგან, თუმც, კომპანიის სასარგებლოდ 50 წელი უნდა ემუშავათ. კომპანიის წესდება ითვალისწინებდა აგრეთვე ადმინისტრაციული და დიპლომატიური სამართლის დაწესებას საქარავნო გზების უსაფრთხოებაზე. პ. ზაველისკის თანახმად აღნიშნული პროექტი ანალოგიური იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური პროექტისა. გლობალური თვალსაზრისით, კომპანიას უნდა შეესრულებინა შუამავლის როლი მსოფლიო ვაჭრობაში ევროპასა და აზიას შორის. კომპანიის აქციონერები უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები მემამულენი, ვაჭრები და რუსი ჩინოვნიკები.

შეიძლება ითქვას, რომ ზაველისკ-გრიბოედოვის პროექტით იცვლებოდა საქართველოსა და არა მარტო საქართველოს, მთელი რუსეთის იმპერიის ეკონომიკური სურათი. საქართველო რუსეთის ეკონომიკურ ფლაგმანად იქცეოდა.

კავკასიის მთავარმართველი როზენი, პოლონელი პ. ზაველისკის ამ პროექტის თანაავტორობას, ქართველთა 1832 წლის შეთქმულების თანამზრახველობით ხსნის და ერთგვარ მტკიცებულებად მიიჩნევს. ასევე დღემდე ამ პროექტის პირველი პირი, რომელიც დაკარგულად ითვლება და მის კვალს, რომ ასევე პოლონელ გრაფ პასკევიჩამდე მივყავართ შესაძლოა არ იყოს შემთხვევითი. ჩვენ ამით ვცდილობდით ქართულ-პოლონურ საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე გავამახვილოთ ყურადღება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს პროექტი დეკაბრისტული პოლიტიკურ-ეკონომიკური მსოფლმხედველობითაა დაწერილი კიდევ უფრო გვაფიქრებინებს საერთო ქართულ-პოლონურ ინტერესებზე.

გრიგოლ ვოლსკი, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და პროგრესული ქართული მწერლობის დიდ მედროშეებს, ილიასა და აკაკის, გვერდში ედგნენ თავისი დროისთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქვეყნო საქმეში. მათ შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს გრიგოლ ვოლსკი, რომელიც ათეული წლების მანძილზე სიტყვითა და საქმით ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხს.

ქართულ მემუარულ ლიტერატურასა და პერიოდიკაში შემონახული მასალები გრიგოლ ვოლსკის მოღვაწეობას, კერძოდ, ოსმალეთის ხელიდან გამოხსნილი ბათუმის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოგვიდგენს. “ღმერთმა ჰქმნას, როგორც მესმის და საქმეებიდან დავინახე ბათუმში ყოფნის დროს, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ისეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორც ვოლსკია, რამეთუ იგინი არიან მარილნი სოფლისა” – წერდა ანტონ ფურცელაძე ვოლსკის შესახებ გაზეთ “ივერიაში” 1898 წელს. თუ როგორ გულწრფელად, სიყვარულით ეკიდებოდა გრიგოლ ვოლსკი სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს, ამას ცხადპყოფს მისი პუბლიცისტური წერილებიც.

“გვიზიდავს ჩვენი ქვეყნის ეთნოგრაფია და არქეოლოგია, ჩვენი ერის ბუნება და გრამატიკული აგებულება, წარსული იურიდიული ყოფა, საერო პოეზია, მუსიკა, სიმღერა და ამასთანავე უფრო და უფრო გვებადება სურვილი, რომ ჩვენს შრომას

ეტყობოდე მცენიერების სხივი, მისგან აღიარებული დედა-აზრი და ძიება-კვლევის სახსარი” - წერდა გრიგოლ ვოლსკი გაზეთ “ივერიის” 1888 წლის 160-ე ნომერში.

ყველაზე მტკივნეული საკითხი, რომელსაც გრიგოლ ვოლსკი ფასდაუდებელ მნიშვნელობას აძლევდა, ეს იყო საქართველოს ისტორიის შესწავლა. იგი ილიასეული პრინციპით აყენებდა მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლის საკითხს: “არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს დამაბუნებას და დავრდომილებას, როგორც ის გარემოება, რომ აქამდის არ მოგვეძევა არც ისეთი სისტემატიური და მეტ-ნაკლებად ისტორიული კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მოთხრობა იმის შესახებ, თუ რანი ვყოფილვართ, როგორ გამოგვივლია გასულ საუკუნეთა გრძელი მანძილი, რა დაგვიკარგავს, რა შეგვიძენია და რა სასიცოცხლო ნაბიჯი გვაქვს დღეს განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე წარსადგენი” – წერდა გრიგოლ ვოლსკი 1893 წელს ჟურნალ “კვალში”. ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანს გულს უკლავს ის რომ ქართველი ერის დიდ კულტურულ წარსულს მზრუნველი არ ყავდა, არ იყო ისეთი შრომების გამოცემის სურვილი და მისწრაფება, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ ქართველი ერის ისტორიას. ასეთ ვითარებაში გრიგოლ ვოლსკი პირველხარისხოვან საკითხად აყენებდა ერის ისტორიის ცოდნას.

*ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი*

ივან სლივიცკი – გაზეთ „კავკაზის“ („Кавказ“) რედაქტორი და პუბლიცისტი

1846 წელს თბილისში დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“ („Кавказ“), რომლის რედაქტორი იყო ო. კონსტანტინოვი. გაზეთის მიზანი იყო გაეშუქებინა ის მოვლენები, რაც კავკასიაში და მეზობელ ქვეყნებში ხდებოდა. გაზეთი „კავკაზი“ დიდ ადგილს უთმობდა პოლონეთს და პოლონელ ხალხს. იბეჭდებოდა კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების ნაწარმოებები. გაზეთმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ-პოლონური ურთიერთობის განმტკიცებაში.

1850 წლიდან გაზეთს რედაქტორობდა პოლონელი ივან სლივიცკი. შესაძლებელია, გაზეთ „კავკაზში“ ივან სლივიცკის რედაქტორობის ორი პერიოდი გამოვყოთ: პირველი -1850-1854 წლები. ეს ის პერიოდი, როდესაც ფოსტა რუსეთიდან მთელი კვირის განმავლობაში არ მოდიოდა და რედაქტორს უწევდა ხელმისაწვდომი მასალებით დაკმაყოფილება. ხშირად მუშაობდა თითქმის მარტო, დამოუკიდებლად. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იგრძნობა გულწრფელი სითბო და ამავე დროს მკაცრი ტონი.

მეორე პერიოდი - 1868-1871 წლები. გაზეთში ძირითადად იბეჭდებოდა პოლიტიკური სიახლეები, სახელმწიფო განკარგულებები, ბრძანებები. ამ პერიოდში ივან სლივიცკი თავს ცუდად გრძნობდა, თითქმის მუდმივად განიცდიდა ნერვიულ აშლილობას, ხშირად აპათიურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მიუხე-

დავად ამისა საკუთარ თავს აიძულებდა მთელი ძალითა და პასუხისმგებლობით ეშრომა.

1848 წელს გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ივან სლივიცკის პუბლიკაცია „მანგლისის ტამარი და ალგეთის მღვიმეები“. ივან სლივიცკი ეხება მნიშვნელოვან საკითხს საქართველოში უძველესი ძეგლების შესწავლას და სამშენებლო წარწერებს. საუბრობს მანგლისის ტამარზე და წერს, რომ ტამარს მხარდაჭერა ჭირდება ფეხზე რომ დადგეს და საუკუნეებს გაუძლოს. პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ მანგლისის ტამარი მეოთხე საუკუნეში აიგო და ყურადღებას ამახვილებს არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის თარიღზე.

არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაზე მსჯელობა დღესაც საკმაოდ აქტუალურია. ივან სლივიცკის არგუმენტები და დასკვნები იმდენად საყურადღებოა, რომ ბევრი თანამედროვე მეცნიერი იზიარებს მის მოსაზრებებს.

*ირინე ვარშალომიძე,
ისტორიის დოქტორი, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი*

*ნინო ძნელაძე,
ისტორიის დოქტორი, ა. კახიძის სახელობის აჭარის
არქეოლოგიური მუზეუმი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი*

*ციური ქათამაძე,
ისტორიის დოქტორი, ბსუ ასოცირებული პროფესორი.*

პოლონური მონეტების მიმოქცევა აჭარაში

აჭარაში გამოვლენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის ყურადღებას იქცევს პოლონური მონეტების ჯგუფი. ისინი გამოვლენილია გონიოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ასევე დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში. საქართველოში აღნიშნული საფასეები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი – განძის სახით ზესტაფონში, სამგორში (შინდისი), თბილისში, ლანჩხუთში; ცალკეული ერთეულების სახით კი ახალციხეში, ოზურგეთში, წალენჯიხაში, მარტვილში, აბასთუმანში.

საქართველოში პოლონური მონეტები შემოდის XVII საუკუნის I მეოთხედიდან. ჩვენში ორტებისა და პოლტორაკების შემოსვლას სხვადასხვა ფაქტორი აპირობებდა: პოლონეთთან პოლიტიკური ურთიერთობა ოსმალეთის მზარდი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში; შავი ზღვისა და დნეპრის გზით პოლონეთთან აზრეშუმით ვაჭრობა; კათოლიკე მისიონერების საქმიანობა; გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში დნეპრისა და დონის კაზაკების მიმოსვლა და სხვა. დასავლეთ საქართველო კაზაკებს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკავშირდება. მათი დასახლების არეალში XVII საუკუნის I ნახევარში პოლონეთ-

ლიტვის გაერთიანებული სამეფოს მონეტები მიმოიქცეოდა. ევ-
ლია ჩელები გვამცნობს, რომ კაზაკები არაერთგზის დაესხნენ
თავს ოსმალთა მფლობელობაში მყოფ გონიოს ციხეს, რომელიც
მოაოხრეს და დაანგრეს. პოლონური მონეტების მიმოქცევა აჭა-
რაში ამ მოვლენების შედეგი უნდა იყოს.

თამარ ორჯონიკიძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი*

**პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა
XX საუკუნის დასაწყისის გერმანიაში და
ქართული საზოგადოებრივი აზრი**

სტატიაში გაანალიზებულია XX საუკუნის დასაწყისის ქარ-
თულ პრესაში (გაზეთებში „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“) გა-
მოქვეყნებული წერილები, რომლებიც ეხება გერმანიის იმპერიის
შემადგენლობაში მოქცეული პოლონეთის ნაწილში მცხოვრები
პოლონელების მდგომარეობას და მათ ეროვნულ - გამათავისუფ-
ლებელ მოძრაობას.

XX საუკუნის დასაწყისის პოლონეთი დანაწილებული
ჰქონდათ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის იმპერი-
ებს. გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში პოლონელების გაგერმა-
ნელებას, ხოლო რუსეთის იმპერიაში გარუსებას ცდილობდნენ.

პოლონელების მსგავსად კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მოქცეულ ქართულ საზოგადოებაში დიდი იყო თანაგრძნობა პოლონელებისადმი, მაგრამ ცენზურის არსებობის გამო, ქართულ პრესაში უფრო თავისუფლად შეიძლება ეწერათ პოლონელების მდგომარეობის შესახებ გერმანიაში.

გერმანიაში პოლონელთა მდგომარეობის განხილვისას, ქართულ პრესაში ყურადღებას იქცევდა: ა) პოლონელთა დევნა - შევიწროება და სახელმწიფოს მიერ გატარებული ძალადობრივი გაგერმანელების პოლიტიკა; ბ) პოლონელთა ბრძოლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკუთარი ენის დასაცავად და პოლონური სკოლის რეფორმისათვის; გ) პოლონური მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა; დ) პოლონელთა მიზანმიმართული საქმიანობა სოფლად სასოფლო-სამეურნეო მიწების პოლონელთა ხელში შესანარჩუნებლად და გერმანული კოლონიზაციის შესაფერხებლად; ე) პოლონელების სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რაც საფუძველს ქმნიდა ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად წარმატებული ბრძოლისათვის.

ქართულ პრესაში მნიშვნელოვანი ყურადღების დათმობა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად პოლონელთა ბრძოლისათვის არა მხოლოდ თანაგრძნობის და მხარდაჭერის გამოხატულება იყო. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული საქართველო იგივე პრობლემების წინაშე იდგა და ქართულ საზოგადოებას სანიმუშოდ უსახავდნენ პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებულობას და მიზანმიმართულ ძალისხმევას საკუთარი ენის, განათლების სისტემის, მიწაზე პოლონელთა საკუთრების შესანარჩუნებლად.

**Georgian-Polish Relations
in the 19th-20th Centuries
(historical and socio-cultural aspects)**



**Conference Program and
Annotations of Reports**

Batumi - 2024

On November 15, 2024, the Batumi Shota Rustaveli State University will host a scientific conference on the topic: "Georgian-Polish Relations in the 19th-20th Centuries (historical and socio-cultural aspects)".



The conference is held within the framework of the scientific grant project – Deportation of Poles to Georgia and Polish-Georgian Geopolitical Cooperation (1830-1921)" (FR-22-9832) – funded by Shota Rustaveli Georgian National Science Foundation, with financial support of the Foundation.

Organizing Committee:

Assoc. Prof. Irakli Baramidze (Chairman)

Prof. Kakhaber Surguladze

Assoc. Prof. Revaz Diasamidze

Assoc. Prof. Khatuna Diasamidze

Doctor of History Guguli Kukuladze

Time Limit:

Presentation - 10-12 minutes

Discussion - 3-5 minutes

Address:

Conference Hall

№44 Auditorium, II floor, I building, BSU

Opening of the Conference: 14:00

15.11.2024, Auditorium №44

14:00

Opening of the Conference – Dean of the Faculty of Humanities,
Assoc. Prof. Teona Beridze

Greetings – Head of the Department of History, Archeology and
Ethnology, **Prof. Jemal Karalidze**

– Chairman of the Organizing Committee,
Assoc. Prof. Irakli Baramidze

Reports:

1. ***Malkhaz Matsaberidze (Tbilisi)*** -
Comparative analysis of the history of Georgia and Poland in
1918-1921 in the Georgian emigrant press.
2. ***Andrzej Furier (Szczecin)*** -
Poles in the History of Batumi until 1924.
3. ***Kakhaber Surguladze (Batumi)*** -
Magazine „Tsiskari“ about Pustovoitova
4. ***Nargiza Kankia (Tbilisi)*** -
Culture on Television: A Means of Relationship between the
Countries
5. ***Merab Megrelishvili (Batumi)*** -
"Polish House" in Batumi

6. *Mariam Marjanishvili (Kutaisi)* -
